საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

ტრიბუნა

ფასი 1,00 მანეთი

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქ-
ციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოს-
ტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

№ 35

მრავალნუ
ბიბლიოთეკა

ოქტომბერი
1921 წ.

111

გულდათუთქულნი: მეუღლე ნინა დავითის ასული, შვილები: გუგული, ჩაჩანა და შურა, დედა ელისაბედ ბერის ასული, დები: ნატალია, ემილია და ნინა ალექსის ასულნი, ძმები: სამუელ და ვასილ ალექსის ძენი, ძმისწული ივგენი ივანეს ძე მეუღლითურთ, ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ძვირფასი და დაუვიწყარის

გიორგი ალექსის ძე ანდღულაძის

ჭრილიკულად გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება შაბათს, პირველ ოქტომბერს, ნაშუადღევის 3½ ს. საკუთარი ბინიდან, სპპიორის ქ. № 48, წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

მართა სურგულაძის ასული შვილებით: სონია, ნინა, ანიჩკა, ასინეთი, ალიუშა, გრიშა, მარგალიტა და შუშანა, დესპინე ქარცივაძის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 1-ს დილის 10 საათზე ს. შემოქმედში წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველთა ქმრის და მამის, უკანასკნელის კი შვილის განსვენებულის

იოსებ გერასიმეს ძე ჩიტაიშვილის

სულის მოსახსენებლად.

დავით გიორგის ძე ჩიქოანი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ გარდაცვალებას უსაყვარელეს მეუღლისას

ანნა (ანეტო) გესარიონ დვალიძის ასული ჩიქოვანისა

პანაშვიდები ყოველ დღე, სადამოს 6 საათზე ბინაზე: პლეხანოვის პრ. № 29, მესამე სართული. დაკრძალვა: კვირას, ოქტომბრის 2-ს, გამოსვენებენ ბინიდან დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც წირვის შემდეგ გაასვენებენ ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში დასაკრძალავად

ბშილები ალესარიონ ქრისტეფორეს ძე და მარიამ ანდრიას ასული დვალიძეები; ძმა ლევან ბესარიონის ძე, დები: თამარი და ქეთო და ბგრიდევრძალი მარუსია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას უსაყვარლესის

ანეტო ჩიქოვანისას

დამწუხრებული დეიდა ბიბლიანე (ვაროო) ანდრიას ასული და დავით სვიმონის ძე არჯევანიძეები ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას

ანნა (ანეტო) დვალიძის ასულ ჩიქოვანისას

პანაშვიდები: ყოველ დღე, სადამოს 6 საათზე ბინაზე, პლეხანოვის პრ. № 29; დაკრძალვა კვირას, ოქტომბრის 2-ს, გამოსვენება ბინიდან დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც წირვის შემდეგ გაასვენებენ ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში დასაკრძალავად.

დავით სვიმონის ძე პავლიაშვილი ძმითა და დეიდით გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი ნაამაგარევი და ძვირფასი ძალი

ანნა იესეს ასული მანსვეტაშვილისა

დაკრძალვა მოხდება დღს, ოქტომბრის 1 ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

სექტემბრის 28-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანნა იესეს ასული მანსვეტაშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი რძალი გენერალ-ლეიტენანტ ნინო დიმიტრის ასული და შვილიშვილი მიხეილ ვასილის ძე მანსვეტაშვილები. ცხედარს გამოასვენებენ დღეს, დილ. 9 ს. ოქტომბრის 1-ს მიხეილის სავადმყოფოს სამლოცველოდან ვერის იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში, სადაც წირვისა და ანდერძის შემდეგ იმავ დღეს დაკრძალულ იქნება ამავე ტაძრის გალავანში.

თავზარდაცემული მშობლები ივლიანე და ლიდა, ძმები ვალოდია და ეორეი, კოპ ლენშვილები და ლიუბა, და სიძე გიგო ფარცანია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი სახელმწ ფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტ ს (მედიკი)

მიშა (მიხეილ) ივლიანეს ძე პოპალეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება კვირას, 2 ოქტომბერს ადგილობრივ სასაფლაოზე. ქ. ფოთში.

ვასილი, ნიხა, ალექსანდრე, შალვა და ანდრო ძალაბაიები აუწყებენ ნათესავებთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 2-ს, პირველთა საყვარელ შვილის და უკანასკნელთა დაუვიწყარი ძმის სამხედრო მფრინავის

გრიშა (გრიგოლ) ძალაშხიას

დაღუპვის ორი წლის შესრულების გამო იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში დილის 10 საათზე.

სახელმწიფო საოპერო თეატრი

შაბათს, 1 ოქტომბერს, სახელმწიფო საოპერო თეატრი ხანის სეზონს, დაიდგმული იქნება ოფენბახელური ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“, მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა, მოწყობა-დადგმა ა. რ. წულუკიძისა, მოხალისეობენ: მანდელინოვი, გ. ბაშიძე, მოზოვეცკაია, ერმოლინსკაია, სარაჯიშვილი, ელიოზიშვილი, კურბატოვი, ქურხული და სხვ. ლოტბარობს თკით ავტორი.

მეორე წარმოდგენა კვირას, 2 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება „ზღაპრები ჰოფმანისა“, ოპერა ტ. ფენბახისა, მონაწილეობენ: სტაროსტინა, ერმოლინსკაია, თუმანოვი—მახარაძე, ერმანდელი, ზალიპსკი, საბინინი, დემიანენკო, კურბატოვი, გუდიმ-ლევკოვიჩი, ბალგოლობრაზოვი, თუმანოვი, ქურხული და სხ. ლოტბარობს სტოლერმახი, მოწყობა-დადგმა ა. წულუკიძისა.

შაბათ, 4 ოქტომ ერს, „ევგენი ონეგინი“ ჩაიკოვსკისა, მონაწილეობენ: მოკოვა, ერმოლინსკაია, ნეიმან-, სარაჯიშვილი, ელიოზიშვილი, ისეკია, დემიანენკო, კურბატოვი და ქურხული, ოპერას ლოტბარობს მიხანდარი.

ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, „რიგოლეტტო“ ვერდისა, ხენკინა, ზიბარევა, ნეიმანი, ზალიპსკი, პალიევი, ისეკია, დემიანენკო, გუდიმ-ლევკოვიჩი, ქურხული და ბალგოლობრაზოვი, ლოტბარობს ჰ. ჰ. ფალიაშვილი.

წარმოდგენების დასაწყისი სადამის 8 საათზე. მესამე ზარის შემდეგ აკრძალულია სალაქეო დარბაზში შესვლა.

ყველა გამოცხადებულ წარმოდ ენებზე კიდეც დაიწყო ბილეთების გაყიდვა; დილაობით 10 3 საათამდე, საღამოთი 6—10 საათამდე.

ტრიბუნიდან

23.

საბჭოთა ქალაქები და საბჭოთა ხალხი.

„კომუნისტის“ ერთ-ერთ უგანასკნელ მეთაურში განსაკუთრებულის ყურადღებით არის აღნუსხული, რომ სტამბა, სადაც იწყობა და ლაგდება ჩვენი ნაბეჭდი, ქალაქი, რომელზედაც „გაბედის“ ჩვენი სტრიქონები სრული კუთვნილებაა საბჭოთა მთავრობის. ასეთ „ბედნიერ“ ადგილს ჩვენს წინაადმდეგ წინადაც ქონდა ადგილი იმავე „კომუნისტის“ ფურცელზე, დღემდე ამისათვის ყურადღება არ მიგვიქცევია, თუმცა ძალიან კარგად ვიცით რასაც ნიშნავს ასეთი განცხადება.

პირველად ამ ნიადაგზე სამარცხვინო კამპანია დაიწყო ჩვენს წინაადმდეგ პავლე საყვარელიძემ, რომელიც სამედიცინო სასაძარცოლოში იმ ხელოვნებას დაეძებდა, რომელშიც თავს შეაფარებდა თავის სასახელო ბრალდებებით. ეხლა კიდევ უპრუნდებით ამ საკითხს, რამდენადაც გვაიძულებენ ისევ და ისევ ხმა ამოვიღოთ, თუმცა ჩვენი დუმილი, ჩვენი აზროვნობა და ჩვენი მოკმედეობა ფაქტიურად სწყვეტს აღძრულ საკითხს.

საყვარელიძესა და „კომუნისტს“ შორის ის საერთო დებულებაა, რომ მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება საბჭოთა ქალაქზე სუერო, საბჭოთა სტამბაში იმუშაო და ის არ თქვა, რაც ქალაქის მეპატრონეს სურს, ის არ გააკეთო, რაც მესტამბეს გაახარებს.

ჩვენ სრულიად სხვაგვარად გვესმის საკითხი, სხვაგვარად გვესმოდა წინადადგ შემდეგაც დავრჩეთ ამ აზრის, რაც ყოველთვის გვხელმძღვანელობდა, საბჭოთა ქალაქს და სტამბას ჩვენ ისე სრულიადაც არ უყურებდა, თითქოს ეს ორმაგი ეს პირდაპირი კუთვნილება იყოს „კომუნისტის“ ან კომპარტიის ხელისუფლების საუფლისწულო მამულები. ხმოლოდ ძველი რეჟიმის დროს ქონდა, ჩვენ „კომუნიზმი“ სრულიადაც იმას არ ნიშნავ, რომ საუფლისწულო მამულებად მთელი ქვეყანა გადაიქცეს. მარქსაც არ შეუქმნია ღირებულების ისეთი თეორია, რომ ერის მთელი სიმდიდრეს ხელისუფლების ძალა ქმნიდეს. პირიქით, ასეთ დებულებებთან ძალიან ახლოს იყო სმიტი, უფრო ადრე კენე, შემდეგ მილი და სხვა, მაგრამ მათში ამ თეორეტიკოსებს როგორც სოფისტებს და სიკოფანტებს „ტყავს აძროობდა“.

ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელნიც საქართველოში არსებობენ, მაგრამ ვერ სწერენ, ვერ მუშაობენ სტატიებში, იმიტომ კი არა, რომ მათ არავითარი წილი არ აქვთ საქართველოს სიძდიდრეში, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ ჩვენთვისაა, და სხვებისთვის კი—არა, ვერ მუშაობენ პოლიტიკური მიზანსწრაფვით, მათი მუშაობა მიეთვალება იმ საზოგადოებისათვის, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში.

ამა თუ იმ წყობილების დამოკიდებულებაში ყოველ ჯგუფს, ყოველ პარტიას თავისი საზრი აქვს. ეი ეხლა ჩემს წინაშე გადაწყვეტილია, როგორც რუსეთის სინდიკალისტ-მემარცხენე ესერების ისე მაქსიმალისტების პერიოდიული გამოცემანი, ალსავსენი კრიტიკით, კვლევა-ძიებით, გამოცემანი სრულიად სახელმწიფოებრივი, მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში დაგვისახელოს თუნდაც „კომუნისტმა“ ერთი ხელმერი „პრავდა“-სი ან „იზვესტია“-სა, სადაც ეს ყოფილიყო ნახსენები, როგორც რაიმე და ვალებულ ან ისეთი პირიც დაგვისახელეთ რუსეთში, რომელთაც ამ ნიადაგზე რაიმე განგაში ეტანებათ ან მემარცხენე ესერების, ან სინდიკალისტების, ან მაქსიმალისტების წინაადმდეგ.

ხმოლოდ ძალიან ყვავილმანი ანგარიშებით, ხმოლოდ უსაზღვრო გაბრაზებით შეიძლება ადგინოთ პოლიტიკურს ბრძოლაში ასეთ საშუალებებისათვის მიმართვა.

მოწინააღმდეგეს სადაც გაუგონიათ, რომ ბისმარკ და მაკ-მაგონი მიმართავდნენ მატერიალურ საშუალებებს თავის სასარგებლო იდეურ ატმოსფერის შექმნისათვის--რეპტილიის პრესის სახით. ასეთ განყოფილებები მოიძებნებიან ხმოლოდ სულძაბალ ადამიანებში, რუსეთში ასეთ ძალებს ბუბატოვ ამრავლებდა ბეშებში, გერმანიაში გიროშ-დუნკერები, ესენი იანუსის როლს თამაშობდნენ, ერთს სწყრალობენ, მეორეს ლაპარაკობდნენ, ერთს იტყოდენ-მეორეს დაწერდნენ მათი საქმე დალატი იყო მუშათა კლასის, მათი ბიზანი ბურჟუაზიის სამსახური გახლდათ. აშკარა კი არ იყო მათი საქმე—ბნელი და მალული, პროგრამით და პარტიით კი არ მოქმედებდნენ—მოტყუებლებით და ცბიერობით.

ამ სამარცხვინო შემოქმედების ძალებს დღეს იქ ვერ ნახავთ, სადაც მუშათა ლაშქარი მუშაობს თავის საქმისთვის, ასეთი ძალები ისევ ანტანტის ტახტთან მოიძებნება ბლომად, სადაც საამისოდ საკმაო ღონისძიებაა მიღებული; ჩვენ, როგორც პარტია, ვმოქმედობთ მტკიცედ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით, აშკარად, საქვეყნოდ ქვეყანისათვის, მუშათა კლასისათვის, ქართველი ერისათვის. მთელი ჩვენი მოღვაწეობა სიბნელე კი არაა—აზრის მკაფიოდ გამოთქმაა, საკითხების გაშუქებაა, მთელი ჩვენი ფიზიონომის მზეზე გამოტანაა. გვითხარით მარჯვნივ და მარცხნივ: ვინ არის ჩვენზე მკაფიო, ჩვენზე გასაგები, ჩვენზე ნათელი?

ჩვენი კალამი დღეს მოქმედობს, ჩვენი სტამბაა და ქალაქი მუშაობაშია იმიტომ კი არა, რომ ამით „ვისიმე“ სამსახურს ვასრულებთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი პოლიტიკური სინიდისი, ჩვენი პოლიტიკური მრწამი შეეფერება იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობს საქართველოში.

ჩვენ გვაქვთ ეს ერსებულ წყობილებასთან მთელი რიგი დიდი საკითხები. საბჭოთა სისტემა, რუსეთის რევოლიუციონერ ფედერალისტების იდეა, სოციალიზაციის პოლიტიკა. ჩვენ გვაერთებს კიდევ ეთი რამ, რაც უმთავრესია ამ ჟამად წარმოებულ ბრძოლაში: გვაერთებს ბრძოლა ანტანტის და ანტანტისტების წინააღმდეგ. ეს მთავარი მუხლები ჩვენი შეხედულებისა გახლავთ ის ობიექტიური მიზეზი, რომელიც ამოძრავებს ჩვენს სტამბას, სვენს ქალაქს და ჩვენს ხელებს.

სურავის გონია, რომ ჩვენ არ გვესმის ინიშვნელობა და ძალა იმ მუშაობისა, რომელსაც ეემსახურებით. ყოველს ჩვენს სიტყვას, ყოველს ჩვენს ნაწერს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ძალიან კარგად ვიცით: რუსთაველის პროსპექტის ტაეპნი, ან ლუარსაბ თათქარიძის როლის ალება და ბუზების თვლა ოჯახური მაუდროებისათვის გაცილებით უფაზეესია, ვიდრე იმ „საპასუხისმგებლო ბრძოლის წარმოება, რომელსაც ჩვენ ეემსახურებით.

მთელს ჩვენის არსებით ჩვენ დაუკავშირდით იმ ფრონტს, რომელსაც რევოლიუციის ფრონტი ეწოდება, მთელის ჩვენის არსებით ვებრძოდით და ვებრძვით იმ ძალას, რომელსაც რეაქციასთან აქვს კავშირი, მაგრამ ჩვენ ყოველივე ეს სრულიადაც ისე არ გვესმის, თითქოს რევოლიუციის საშინაო საქმეებზე ჩვენ არ შეგვეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა, არ შეგვეძლოს კრიტიკის წარმოება. ჩვენი კრიტიკა მუდამ სერიოზული, მუდამ სამართლიანი, რევოლიუციის და საბჭოთა ფედერალიზმის კეთილდღეობისათვის მუდამ ბასრად არის განმზადებული. ეს არის ჩვენი რევოლიუციური „მოვალეობა იმიტომაც, რომ დღეს მთელი ჩვენი დადებითი და კრიტიკული უნარის დაქმევა საჭირო საბრძოლოდ საქვეყნო საქმეების წარმართვაზე. განა ასეთი კრიტიკა ფარულად არ არის დაყენებული თვით რუსეთში? შეიძლება ამის კონკრეტული მაგალითი საჭიროა?--მოგართმევთ უამრავს.

ჩვენ უკვე აღვნუსხეთ ჩვენს პრესაში ჩვენ ქალაქისათვის არც გეიმუშავია, და არც ვმუშაობთ. საქართველოში ჩვენ გვიცნობს ყველა და გვიცნობს ისე როგორც გვიცნობდნენ. რასაც დღეს ვაკეთებთ, რასაც დღეს ვაკეთებთ, არ ვაკეთებთ და არ ვამბობთ 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ კომპარტიის წევრების 95 პროც. მგზავს ც. ასე ვმუშაობთ დიდი ხანია, სხვა რეჟიმის დროს და პოლიტიკურ საბრძოლველზე ჩვენი მოვალეობის, ჩვენი მრწამსის ადასრულებისათვის, რასაკვირველია—შიშ-ც არ არსებობს!

სრულიად შემთხვევით ჩემს წინ ეხლა რეპინის შესანიშნავი „სურათია ივანე მრისხანეს შესახებ, ვხედავ იმ ჯოხს, რომელმაც საბრალო „მის შვილს—ივანეს სიცოცხლე მოუსპო, ვხედავ მამის საოცარ თვალებს, შვილის გაწყვეტილ თმებს, ვხედავ იმ დრამას, რომელმაც არა თუ ოჯახი დაანგრია, არია მთელი მაშინდელი რუსეთი. ეს იყო შედეგი გაუკეთებლობის კი არა, უფრო გაუტანლობის, კრიტიკის კი არა—სიბრმავის, ნდომის კი არა—ეპვის, სიყვარულის კი არა სიძულვილის. სახელმწიფოში, სამშობლოში—ეს საშუალებაა, რევოლიუციაში—კიდევ მეტი. ამის მართლა გვეშინიან...

თედო ღლონტი.

ახალი ამბები

— დეპეშა მოსკოვიდან № 11837 (228) 99—40 საქართვ. რევკომი. წიგნავაძეს. თქვენთან ერთათ უკრაინის სახალხო სახურსათო კომისარიატს ეცნობა, რომ თბილისში თქვენ სახელზე გადაგზავნილია 150,000 ფუთი პურის ფქვილი, ისე რომ თვ ური მოთხოვნილება ე. ი. ერთ—მეს. ზემოაღნიშნული რიცხვისა უნდა იქნეს და გაგზავნილი არა უგვიანეს ამა წელს 15 ოქტომბრისა სულ უნდა გადაგზავნილ იქმნას თვენახევარში. ტვირთის მისაღებათ და წამოსაყოლად გაგზავნეთ ხარკოვში თქვენი რწმუნებული. პურის გ. ზ. ზ. ვნის საქმე შეთანხმებულია მოსკოვში ამხ. მ. ივნი და ორჯონიკიძის მიერ.

სურსათის განაწილების კომისარი
ხალათოვი

— საქართველოს რევკომის ხალხფორმაციო განყოფილებიდან. საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ქავთარაძის სახელზე მოსკოვიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „მოსკოვმა დაადგინა გაგზავნის ყოველთვიურად საქართველოსათვის 50,000 ფუთი პური სომხეთისათვის—25,000 აზერბაიჯანისათვის—50,000 ფუთი, ნავთის წარმოების მუშებს 50,000 ფ. ამიერ-კავკასიის რკინის გზელებისათვის 50,000 ფუთი და ცალკე ჯარისაც. ამ მიზნის განსახორციელებლად სახალხო სასურსათო კომისარიატს მიეცა წინადადება 1 მილ. ფ. პურის გაგზავნა. შესახებ უკრაინიდან იმ პირობით, რომ სამარშრუტო მატარებლები, ორთქმავლებით და საჭირო მუშების რაოდენობით საჩქაროთ იქნეს გაყოლებული დასატვირთავად და დასაცავად. 150,000 ფ. ბაქოს მუშებს და რკინის გზელებს უკვე გაგზავნათ.

ორჯონიკიძე, მდივანი.

— საჭიროა სახელმწიფო დრამის თეატრისათვის. ორი მოკონცერტე პიროობებია გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში. დილის ათი საათიდან ორ საათამდე.

რუსეთი

მოსკოვი. ტულაში შესდგა შინამრეწველობის კავშირი სასოფლო სამეურნეო მანქანების გასაკეთებლად სანადირო თოფების და სხვა ლითონის ნაწარმოებისა. კავშირს დაკვეთილი აქვს 400.000 ცალი ლითონური ნაწარმოები.

შეუდგენ აგრეთვე სამოვრების კეთება 1921 წლის მეორე ხახევარში ფიქრობენ 12.000 სამოვრის გაკეთებას.

უცხოეთი

ნაუენი. 28 სექ. საერთაშორისო ფინანსიური კომისია შეიკრიბება ლონდონში დეკემბრის პირველ რიცხვებში. კონფერენცია გადარჩევს საკითხს ნორმალურ ფინანსიური ურთიერთობისა და ოქროს ვალიუტის შესახებ.

ნაუენი. 28 სექ. გერმანული ცნობების მიხედვით რეინის პროვინციების ოკუპაცია მოკავშირეებს დაუჯდათ 31 მარტამდე 3900 მილ. მარკა ოქროთი.

ნაუენი. 23 სექ. სოფრანგეთის პრესა ალნიშნავს, რომ კონფლიქტი სიფრანგეთსა და ელზას—ლოტარინგიას შორის სერიოზული ხასიათისაა. მით უფრო, რომ ელზას—ლოტარინგიის მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ არიან ფრანგები.

ნანსენის მოლაპარაკება

მორნინგ პოსტის სიტყვით ოფიციალური ინგლისის წრეები განცვიფრებას გამოსთქვამენ იმ გარემოების გამო, რომ ნანსენი ჩამოვიდა ინგლისში ბოლშევიკებისათვის სესხის მისაღებად, თუმცა ამისთვის მას არც ერთი სერიოზული გარანტია არ დაუსახელებია „ლელი ტელეგრაფი“ განმარტავს, რომ ნანსენმა ვერ შესძლო დაერწმუნებია ინგლისის ოფიციალური წრეები რუსეთისათვის კრედიტის გახსნის აუცილებლობა. „დელი ტელეგრაფი“-ს მოყავს პურცელის პარიზულ გზავთისაგან ცნობები იმაზე, თუ როგორი ბედი ჰქონდა ნანსენს პარიზში ჩარლზ კრენთან შეერთებული ბანკირების ელჩთან პეკინში, რომ მას უნდოდა უკანასკნელი დაერწმუნებია სესხის მოწყობის აუცილებლობაზე, გაგრამ კრენმა უარი განაცხადა ამ საკითხის დასმაზე.

(„იზვესტია“ № 203).

ინპანია. დამატებით ადრინდელ ცნობებისა ბილბაოში მომხდარ ამბავზე „ჰუმანიტე“ გვაუწყებს, რომ გაფიცვითი მოძრაობა იზრდება; მოძრაობის სათავეში სდგას კომუნისტური პარტია. ისპანიის მთავრობა მეტად შეშინებულია ამ გაფიცვით, განსაკუთრებით რა რომ შეურთდა მას რკინის გზელები. ბილბაო უწყლოთ და უცეცხლოთ არის. სიცოცხლე მოდუნდა. მუშათა წრეებში მოელიან მოძრაობის გავრცელებას ბილბაოდან მთელს ისპანიაში.

(„იზვესტია“ № 203)

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ კონფლიქტი საფრანგეთისა და ელზასლოტარინგიის შორის ღებულობს უფრო სერიოზულ ხასიათს ვიდრე ფიქრობენ, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ელზასელებმა და ლოტარინგიელებმა განაცხადეს, რომ ისენი თავიანთ თავს ფრანგებად არა სთვლიან. და სიამოვნებით უწოდებენ თავიანთ თავს ბოშებს (ნემცებს).

ეგნატე ინგოროყვა

(ნინოშვილი)

1880 წლებში მე ვიყავი აღხანაგად გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიისა და სტამბაში, ჩვენი ამხანაგები იყვნენ არსენ კალანდაძე, ალ. დრევიჩი და ანთ. ჯუღელი. სულ ხუთნი ვიყავით აღხანაგები, მე ვაწარმოებდი წიგნის მაღაზიის საქმეს და მივსდევდი ქართული წიგნების ბეჭდვას. მაშინ მე მცნობდნენ, როგორც სოციალისტს და ჩემი ამხანაგებიც ასე მიყურებდნენ, ჩემი წიგნის მაღაზიის გვერდით იყო ჩვენი ქართული სტამბაც, რასაც აწარმოებდა კალანდაძე და დრევიჩი.

1881 წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ერთ დღეს ჩემთან მაღაზიაში შემოვიდა არსენ კალანდაძე, მე მომმართა ასეთის თხოვნით:

— ჩემო ზაქარია, გურიიდან ერთი შეგირდი ჩამომივიდა სტამბაში, მე აქ სტამბაში ბინა არა მაქვს, იქნება შენ მისცე მას ბინა შენს სახლში.

მე უარი ვერ ვუთხარი და მივუგე:

— საღამომდის ის შეგირდი სტამბაში იყოს, საღამოს სახლში წასვლის დროს, შემოვიდეს აქა და წავიყვან, ბინას მივცემ.

არსენ კალანდაძემ ამაზედ დიდი მადლობა მითხრა და გავიდა სტამბაში. მაგრამ ვედარ მოითმინა საღამომდის და მცირე ხანს შემდეგ შემოვიდა მაღაზიაში, თან შემოიყვანა ერთი გურული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ტანზედ ეცვა ნაცრის ფერი გახუნებული ჩოხა, წელზედ ეკრა ტყავის ქამარი, ფეხზედ ძველი გაცვეთილი ჩუსტები და მხარზედ გადაკიდული ჰქონდა ერთი პატარა გახუნებული შალი.

კალანდაძემ ეს გურული მოიყვანა ჩემს ახლოს და მითხრა:

— ზაქარია, აი ეს გახლავსთ ის კაცი, ვისი დავალებითაც მოგმართე. ეს არის გურული ეგნატე ინგოროყვა. თქვენც კარგათ გიცნობთ და თქვენი მოღვაწეობის დიდი პატივისცემელიც არის. მე დავაკერდი ამ გურულს ახალგაზრდა კაცს და შევნიშნე სახეზედ დიდი სისუსტე და უძლურება, ავადმყოფობა, რამაც ჩემს გულში აღძრა დიდი თანაგრძნობა და სიბრალული. მე ვუთხარი:

— სტამბაში ჩამოჯექით, საღამომდის დაიცადეთ და ძალაზიის დაკეტის დროს მე დაგიძახებთ და წაგიყვანთ სახლში. ეგ. ინგოროყვა ჩემი ასეთი ცნობა დიდათ გაუხარდა, მადლობა მითხრა და გავიდა სტამბაში.

ის დღე დადამდა, მოვიდა დრო მაღაზიის დაკეტის.

მოვიხსენ ეგნატე და ვუთხარი, თუ რამ ბარგი ჰქონდა წამოეღო და წავსულიყავით.

ეგნატეს არაფერი აღმოაჩნდა.

მე ვკითხე:

— ლოგინი არა გაქვთ, საკვირველია, კაცო, ჩომ იმერლებს ასეთი ჩვეულება გაქვთ, წამოხვალთ ტფილისში და თან ლოგინს კი არ წამოიღებთ.

ეგნატემ ბოდიში მოიხადა დაღონებით, მე დავამშვიდე.

ჩვენ მალე წავედით სახლში და გულში ვფიქრობდი, რომ სახლში ორი ი